ՀԱՄԱՌՈՏ ՏԵՂԵԿԱՏՎԱԿԱՆ, ՔԱՂԱՔԱԿԱՆ ԵՎ ՏՆՏԵՍԱԿԱՆ ՕՐԱԹԵՐԹ

ԿՈՄՍՈՄՈԼԵՑ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԺՈՂՈՎՐԴԱԿԱՆ ԳԵՂԱՑՄԱՆ ՄԱՍՆԱԿԻՑՆԵՐԻ ՊԱՏԳԱՄԱՎՈՐ ՄԱՐՄՆԻ ԿՈՄԿՈՒՍԻ ԵՎ ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԳԵՐԱԳՈՅՆ ԽՈՐՀՐԴԻ ՕՐԳԱՆ

ՀԿԿ

ՈՐՊԵՍ ԱԶԱՏՈՒԹՅԱՆ, ՄԱՆԿՈՒԹՅԱՆ ԵՎ ՀԱՅՐԵՆԻՔԻ ՍԻՐՈՒ ՄԱՐՏԱԿՈՉ ՀԱՅ ԺՈՂՈՎՐԴԻ ՊԱՅՔԱՐԸ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԳԵՐԱԳՈՅՆ ԽՈՐՀՐԴԻ ՈՐՈՇՈՒՄԸ ԵՎ ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԺՈՂՈՎՐԴԱԿԱՆ ԳԵՂԱՑՄԱՆ ՄԱՍՆԱԿԻՑՆԵՐԻ ՊԱՏԳԱՄԱՎՈՐ ՄԱՐՄՆԻ ԿՈՄԿՈՒՍԻ ՄԱՍԻՆ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԳԵՐԱԳՈՅՆ ԽՈՐՀՐԴԻ ՆԱԽԱԳԱՀ Ա. Ա. ԱՐՄԱՆԴ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԺՈՂՈՎՐԴԱԿԱՆ ԳԵՂԱՑՄԱՆ ՄԱՍՆԱԿԻՑՆԵՐԻ ՊԱՏԳԱՄԱՎՈՐ ՄԱՐՄՆԻ ԿՈՄԿՈՒՍԻ ՔԱՐՏՈՒՂԱՐ Ա. Ա. ՄԱՐԿՈՍՅԱՆ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԳԵՐԱԳՈՅՆ ԽՈՐՀՐԴԻ ՆԱԽԱԳԱՀ Ա. Ա. ԱՐՄԱՆԴ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԺՈՂՈՎՐԴԱԿԱՆ ԳԵՂԱՑՄԱՆ ՄԱՍՆԱԿԻՑՆԵՐԻ ՊԱՏԳԱՄԱՎՈՐ ՄԱՐՄՆԻ ԿՈՄԿՈՒՍԻ ՔԱՐՏՈՒՂԱՐ Ա. Ա. ՄԱՐԿՈՍՅԱՆ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԳԵՐԱԳՈՅՆ ԽՈՐՀՐԴԻ ՈՐՈՇՈՒՄԸ ԵՎ ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԺՈՂՈՎՐԴԱԿԱՆ ԳԵՂԱՑՄԱՆ ՄԱՍՆԱԿԻՑՆԵՐԻ ՊԱՏԳԱՄԱՎՈՐ ՄԱՐՄՆԻ ԿՈՄԿՈՒՍԻ ՄԱՍԻՆ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԳԵՐԱԳՈՅՆ ԽՈՐՀՐԴԻ ՆԱԽԱԳԱՀ Ա. Ա. ԱՐՄԱՆԴ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԺՈՂՈՎՐԴԱԿԱՆ ԳԵՂԱՑՄԱՆ ՄԱՍՆԱԿԻՑՆԵՐԻ ՊԱՏԳԱՄԱՎՈՐ ՄԱՐՄՆԻ ԿՈՄԿՈՒՍԻ ՔԱՐՏՈՒՂԱՐ Ա. Ա. ՄԱՐԿՈՍՅԱՆ

ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԳԵՐԱԳՈՅՆ ԽՈՐՀՐԴԻ ՈՐՈՇՈՒՄԸ ԵՎ ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԺՈՂՈՎՐԴԱԿԱՆ ԳԵՂԱՑՄԱՆ ՄԱՍՆԱԿԻՑՆԵՐԻ ՊԱՏԳԱՄԱՎՈՐ ՄԱՐՄՆԻ ԿՈՄԿՈՒՍԻ ՄԱՍԻՆ

**

ფრიდრიხ ენგელსის დაბადების 120 წლისთავისათვის

ფ. ენგელსის ნაწარმოებთა გამოცემა

28 ნოემბერს სრულდება 120 წელი მას შემდეგ, რაც დაიბადა მეცნიერული კომუნიზმის ერთერთი უდიდესი ფუძემდებელი, კარლ მარქსის მეგობარი და თანამებრძოლი—ფრიდრიხ ენგელსი. ამასთან დაკავშირებით მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალი ქართულ ენაზე აქვეყნებს ენგელსის მთელ რიგ ნაშრომებს. წლისთავისათვის გამოვა: „ლუდვიგ ფეიერბახი“, სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებამდე“, „კომუნისტთა კავშირის ისტორია“. ცალკეულ ბროშურად გამოიცემა „ბუნების დიალექტიკის“ ორი თავი (დიალექტიკის შესახებ), აგრეთვე კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის საერთო ნაშრომი — „მანიფესტი კომუნისტური პარტიისა“—მარქს-ენგელს - ლენინის ცენტრალური ინსტიტუტის შესწორებული გამოცემის მიხედვით.

ამ წლისთავის აღსანიშნავად ფილიალი აწყობს სპეციალურ სესიას, რომლის დროსაც წაკითხულ იქნება ფრიდრიხ ენგელსის ცხოვრებისა, მოღვაწეობისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი 5 მეცნიერული მოხსენება. (საქდესი).

ფრიდრიხ ენგელსის ნაშრომების გამოცემა საქართველოში

კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის საერთო შრომა „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ ქართულ ენაზე პირველად 1905 წელს გამოსცა თბილისში გაზეთმა „სოციალ-დემოკრატმა“. იგი დაიბეჭდა რ. ს. დ. მ. პ.-ის თბილისის კომიტეტის სტამბაში.

ფრიდრიხ ენგელსის ნაშრომების გამოცემა მეტად გაიზარდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. 1923 წლიდან დღემდე ქართულ ენაზე გამოცემულია ფრიდრიხ ენგელსის 17 ნაშრომი 123.600 ცალის რაოდენობით. გარდა ამისა, ერთი ნაშრომი გამოცემულია სომხურ ენაზე. წიგნი „ლუდვიგ ფეიერბახი“ გამოცემულია სამჯერ, „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“—ორჯერ. ინტერესს მოკლებული არ არის, რომ ყველაზე მეტი გამოცემა მოდის კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაშრომზე „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. იგი გამოიცა 6-ჯერ, მათ შორის ქართულ, მეგრულ, ოსურ და სომხურ ენაზე. (საქდესი).

სსრ კავშირის პროკურატურაში

პროკურატურის ორგანოებმა გამოარკვიეს, რომ მრეწველობის, რკინიგზისა და წყლის ტრანსპორტის საწარმოთა მთელი რიგი ხელმძღვანელები დანაშაულებრივი დაუდევრობით ეკიდებოდნენ რკინიგზის ვაგონებისა და წყალთა ტრანსპორტის გემების გამოყენებას; სისტემატურად ხდებოდა არაწარმოებითი გაცდენა.

1. შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის ცეცხლგამძლე მასალათა მთავარ სამმართველოს ტრასოვოს მადანთსამმართველოში მთელი 1940 წლის განმავლობაში ვაგონება დატვირთვისას სისტემატურად ცდებოდა 3-დან 5 საათამდე დაწესებულ ნორმასთან შედარებით. მაშინ როცა დატვირთვის სამუშაო მექანიზებულია და დატვირთვის გეგმის საფასებით შესრულების შესაძლებლობა იყო, მადანთსამმართველოს დირექტორმა აგრანოვიჩმა 1940 წლის მე-3 კვარტალში ნორმაზე 971 ვაგონით ნაკლები დატვირთა. გამოძიებამ გამოარკვია, რომ გეგმის გადამეტებით შესრულებისათვის პრემიების მიღების მიზნით აგრანოვიჩი მინაწერის გზით სისტემატურად ადიდებდა ამოღების მაჩვენებლებს და მოითხოვდა ვაგონებს ფიქტიური ამოღებისათვის. ამავე დროს მან არ მოაწყო მადანთსამმართველოს განკარგულებაში არსებული ნედლეულის მარაგის გადაზიდვა, თუმცა ამისთვის საკმაო ავტომანქანები და საწვავი მასალა მოიპოვებოდა. სამხრეთ-აღმოსავლეთის რკინიგზის სახალხო სასამართლომ 1½ წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა აგრანოვიჩს.

2. შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის კიევის ქარხანაში 1940 წლის მანძილზე 945 ვაგონი გაცდენილ იქნა 19.025 ვაგონ-საათის განმავლობაში ნორმასთან შედარებით 50.446 მანეთი ჯარიმა. რკინიგზას ვაგონების გამოყენებისადმი დანაშაულებრივი დამოკიდებულებისათვის სამხრეთ-აღმოსავლეთის სახალხო სასამართლომ ქარხნის დირექტორს ბესელოვს მიუსაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

3. 92 ვაგონის 2.530 საათის განმავლობაში გაცდენისათვის დაწესებულ ნორმასთან შედარებით არტემოვსკის წისქვილ-კომბინატის დირექტორს იოშას მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

4. ვაგონების სისტემატური გაცდენისა და ნაკლებ დატვირთვისათვის და მოძრავ შემადგენლობაზე არარეალური განაცხადების წარდგენისათვის მოსკოვ-კიევის რკინიგზის სახალხო სასამართლომ მიუსაჯა: „ზაგოტზერნოს“ დუბოვიაზოვსკის პუნქტის დირექტორს ნეველოვს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და იმავე პუნქტის ექსპედიტორს გლობჩენკოს — 1½ წლით თავისუფლების აღკვეთა.

5. სამხრეთ ურალის რკინიგზის სახალსტო კარიერის უფროსი კარიაკინი ძარს უთხრიდა დისციპლინას მუშაკებში, მფარველობას უწევდა სამუშაოს გამცდენებს. სახალსტო კარიერისათვის მიწოდებული ვაგონები სისტემატურად ცდებოდა. მარტო 2 თვის განმავლობაში არაწარმოებითი გაცდენა შეადგენს 11.666 ვაგონ-საათს. კარიაკინს მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

6. ომსკის შპალსაღეღინთ ქარხანაში ქარხნის უფროსის მოროზოვის დანაშაულებრივი გულგრილობის გამო ნორმასთან შედარებით გაცდენილ იქნა 14.787 ვაგონ-საათი. ქარხანაში არსებული მექანიზმები არ ყოფილა გამოყენებული. მოროზოვმა არ მიიღო სათანადო ზომები მუშათა შტატის დაკომპლექტებისათვის. ომსკის რკინიგზის სახალხო სასამართლომ მოროზოვს 1 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

7. ენისეის სანაოსნოს გემების დიდი გაცდენა გამოწვეული იყო კრასნოიარსკის ხე-ტყის გადასაზიდი ბაზის ნავმისადგომთა მოუმზადებლობით. გემები ერთ თვემდე ადგნენ განტვირთვის მოლოდინში, ხოლო ცალკეული კარჭაპები მცურავ საწყობებად იყო გადაქცეული. სახელმწიფომ იზარალა 378.441 მანეთი.

ხე-ტყის გადასაზიდი ბაზის დირექტორი ა. ი. კორიაკინი ჯერ კიდევ 1939 წელს სისტემატურად აცდენდა კარჭაპებს, რისთვისაც ბაზას გადახდა 452.435 მანეთი ჯარიმა. ენისეის აუზის სახაზო სასამართლომ კორიაკინს მიუსაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

8. „ზაგოტზერნოს“ პოლტავის საოლქო კანტორის მმართველმა ი. ა. ნოსმა და „ზაგოტზერნოს“ კრემენჩუგის გამსხვილებული პუნქტის დირექტორმა დ. ა. ზვონიცკიმ არ უზრუნველჰყვეს დასატვირთ-გადმოსატვირთი მექანიზმების ნორმალურად გამოყენება, არ დააკომპლექტეს მუშახელით კარჭაპებიდან მარცვლის გადმოტვირთვის ოპერაციები, არ მოაწყვეს საჭირო ნორდენორების წერტები პუნქტით დატვირთული კარჭაპების გადმოსატვირთად.

ნოსისა და ზვონიცკის დაუდევრობის გამო მარტო აგვისტოს 20 დღის განმავლობაში გემების გაცდენა შეადგენს 71.402 ტონა — დღე-ღამეს, რისთვისაც „ზაგოტზერნოს“ კრემენჩუგის პუნქტს დაერიცხა 208.687 მანეთი ჯარიმა.

დნეპრის აუზის სახაზო სასამართლომ ნოსს მიუსაჯა 1 წლით და 6 თვით, ხოლო ზვონიცკის — 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

9. მურმანსკის ნავსადგურის მთავარი დისპეტჩერი მ. კ. ამელინი არაკეთილსინდისიერად ეკიდებოდა თავის სამსახურებრივ მოვალეობას. მისი მიზეზით საზღვაო გემები თავის დროზე არ გადაჰყავდათ ერთი მისადგომიდან მეორეში და სისტემატურად ხდებოდა მათი არაწარმოებითი გაცდენა. ამის შედეგად მურმანსკის სანაოსნოს 170 ათასზე მეტი მანეთის მატერიალური ზარალი მოუვიდა. მურმანსკის საოლქო სასამართლომ ამელინს მიუსაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

10. სისტემატურად იყო გაცდენილი მოსკოვ-ვოლგის არხის კარჭაპები, რომლებიც ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის კონკაკოვოს ქიმბანკის ქარხნის მისამართით მოდიოდა. გამოძიებამ გამოარკვია, რომ ამაში ბრალი მიუძღოდა ქარხნის დირექტორს ფრანცევს, რომელსაც განტვირთვის ადგილების მოსაწყობად ზომები არ მიუღია და რომელიც განტვირთვის სამუშაოს ხელმძღვანელობას არ უწევდა. ნორმის გადამეტებით კარჭაპების გაცდენისათვის ქარხანამ 54.427 მანეთი ჯარიმა გადაიხადა. ფრანცევის მიზეზით გემები დიდ ხანს იყო გაცდენილი ჯერ კიდევ 1939 წლის ნავიგაციის დროს. მოსკოვ-ოკის აუზის სახაზო სასამართლომ ფრანცევს მიუსაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

11. 112 ათასი მანეთი ჯარიმა გადაიხადა კუიბიშევის სპირტის ტრესტის როყდენსტვენსკის სპირტის ქარხანამ კარჭაპის არაწარმოებითი გაცდენისათვის. ქარხნის დირექტორი ტიმოფეევი თავის დროზე იყო გაფრთხილებული კარჭაპის მოსვლის შესახებ, რომლის განსატვირთავად საჭირო იყო ხე-ტყის მასალა. მაგრამ ტიმოფეევმა ქარხანაში არსებული ხე-ტყის მასალა სხვა საჭიროებისათვის დახარჯა და კარჭაპს თავის დროზე განტვირთვა ჩაშალა. ზედა ვოლგის აუზის სახაზო სასამართლომ ტიმოფეევს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

12. სისტემატურად იყო გაცდენილი ქვედა ვოლგის სანაოსნოს კარჭაპები, რომლებიც ურალ-კასპიის სახთევზტრესტის მისამართით მოდიოდა. ტრესტის დატვირთვა-განტვირთვის კანტორის დირექტორმა კოროლიკმა განტვირთვის სამუშაო არ უზრუნველჰყო ტვირთავებით. არაწარმოებითი გაცდენისათვის ურალ-კასპიის თევზტრესტმა 33,677 მანეთი გადაიხადა. ქვედა ვოლგის აუზის სახაზო სასამართლომ ა. დ. კოროლიკს 1½ წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

საქმის გამოძიება დამთავრდა და სამართალში იქნებიან მიცემულნი ისინი, ვისაც ბრალი მიუძღვით ქიმიური მრეწველობის სახალხო კომისარიატის ბერეზნიკის ქიმკომბინატის, სამშენებლო მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატის ჩქარი მშენებლობის პირველი კანტორის, საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სერპუხოვის ბამბეულის ფაბრიკის და სხვათა მასასვლელ გზებზე ვაგონების გაცდენაში.

დაიწყო ქალაქისა და კოლმეურნე ახალგაზრდობის გაწვევა

(მობილიზაცია) სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო საქარხნო სწავლების სკოლებში

დამთავრდა ახალ სკოლებსა და სასწავლებლებში ჩარიცხვა

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილებით ორჯონიკიძის რაიონში (ყოფ. ხარაგოულის რაიონი) ახალ სახელოსნო, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო - საქარხნო სწავლების სკოლებში ჩასარიცხავი ახალგაზრდობის კონტინგენტი განსაზღვრულია 50 კაცის რაოდენობით.

შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს მიერ ხარაგოულიდან მიღებული ცნობებით, რაიონულმა გამწვევმა კომისიამ დაამთავრა მუშაობა. 13 ნოემბრისათვის კომისიამ ახალ სკოლებსა და სასწავლებლებში ჩარიცხა 50 მოზარდი. მათგან ყველას შემოტანილი ჰქონდა განცხადება ახალ სკოლებსა და სასწავლებლებში ნებაყოფლობით ჩარიცხვის შესახებ.

გამწვევი კომისიის გადაწყვეტილებით, 20 ახალგაზრდა სასწავლად იგზავნება ბორჯომის სახელოსნო სასწავლებელში და 30—ჭიათურის საფაბრიკო - საქარხნო სწავლების სკოლაში.

o

თელავი, 13 ნოემბერი (საქდესი). 13 ნოემბერს თელავის რაიონულმა გამწვევმა კომისიამ საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში ჩარიცხა 45 ახალგაზრდა, ხოლო სახელოსნო სასწავლებლებში — 30. ყველა ისინი მოხალისენი არიან. რაიონში ახალ სკოლებსა და სასწავლებლებში კიდევ ჩარიცხულ უნდა იქნას 20 კაცი.

ახალგაზრდობის გაწვევა დაიწყო

გორი („კომუნისტის“ კორ.). გორის რაიონში დაიწყო მუშაობა კოლმეურნე ახალგაზრდობის გაწვევა საფაბრიკო - საქარხნო სწავლების სკოლებსა, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში. ახალ სასწავლებლებში გორის რაიონმა უნდა გაგზავნოს 95 ახალგაზრდა, მაგრამ რაიონული გამწვევი კომისიის სახელზე უკვე შესულია 290 განცხადება.

გორის რაიონულმა გამწვევმა კომისიამ, რომლის პირველი სხდომა 11 ნოემბერს შესდგა, უკვე ჩარიცხა სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში 21 ახალგაზრდა. საექიმო კომისია განუწყვეტლივ მუშაობს. ჩარიცხულთა შორის არიან სოფ. დიდი ატენის კოლმეურნე, 15 წლის ლევან შატაკიშვილი, რომელსაც 6 კლასი აქვს დამთავრებული, სოფ. კარალეთის ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე ახალგაზრდა, შვიდწლედდამთავრებული გ. ადუაშვილი, სოფ. ტირძნისის კოლმეურნეობა „კავკასიონის“ წევრი ვ. ტეტუნაშვილი და სხვები.

o

ქასპი („კომუნისტის“ კორ.). 10 ნოემბერს ქასპის რაიონში დაიწყო სახელოსნო სასწავლებლებში, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში კოლმეურნე ახალგაზრდობის გაწვევა (მობილიზაცია). გაწვევის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე რაიონის 142 კოლმეურნე ახალგაზრდამ შეიტანა განცხადება ახალ სასწავლებლებსა და სკოლებში მიღების შესახებ.

საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებსა, რკინიგზისა და სახელოსნო სასწავლებლებში ქასპის რაიონი გეგმით გზავნის 40 კაცს. კომისიის საშუალება ჰქონდა ეს დავალება იოლად შეესრულებინა, 142 მსურველიდან შეერჩია საუკეთესონი. მართლაც, საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლაში გასაგზავნად ჩარიცხულ იქნენ საუკეთესონი საუკეთესოთა შორის. სოფ. აღაიანის კოლმეურნეობის სტახანოველი ახალგაზრდა გიორგი მჭედლიშვილი ჩარიცხულია საფაბრიკო - საქარხნო სწავლების სკოლაში, სახელოსნო სასწავლებლებში ჩარიცხნენ აგრეთვე ი. გზირიშვილი (სოფ. ქასპი), ა. მიდელაშვილი (ჩობალაური), ვ. ტატიშვილი (სამთავისი) და ზ. ტორუაშვილი (წინარეხი).

გამწვევმა კომისიამ უკვე მიიღო ლტერები და საგზურები, რომლებიც გასაწვევ ახალგაზრდობას მიეცემა.

სჯალინის სახელობის რაიონში

სტალინის სახელობის რაიონში (თბილისი) წარმატებით მიმდინარეობს სახელოსნო სასწავლებლებში, რკინიგზის სასწავლებლებსა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში ახალგაზრდობის გაწვევა (მობილიზაცია).

გამწვევი კომისიის მაგდასთან დგას მე-82 საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე გ. ხლოპანი. ის სრულიად ჯანმრთელი აღმოჩნდა. თავის სურვილის მიხედვით გ. ხლოპიანი გამწვევმა კომისიამ რკინიგზის სასწავლებელში ჩარიცხა.

— ჩემი სურვილი დაკმაყოფილებულია. პირველ დეკემბერს ენერგიულად შევუდგები ახალ სასწავლებელში სწავლას, — განუცხადა მან თავის ამხანაგებს.

აი, რას სწერდა თავის განცხადებაში მე-5 საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლე ა. ხუჭუა.

— საყვარელ სოციალისტურ სამშობლოს სჭირდება კვალიფიციური კადრები. მეც გადავწყვიტე კვალიფიციური მუშა გავხდე. გთხოვთ ჩამრიცხოთ საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლაში. პირობას ვიძლევი ფრიადზე ვისწავლო და მთელი ჩემი ენერგია სტალინური ქვეყნის შემდგომ გაძლიერებას მოვახმარო.

გამწვევმა კომისიამ ხუჭუას სურვილიც დააკმაყოფილა.

თბილისის სტალინის სახელობის რაიონის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლებში, სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებში მისულება 220 მოსწავლე. სასწავლებლებში გაგზავნის შესახებ განცხადებები შეიტანა 300-ზე მეტმა ახალგაზრდამ.

დღემდე რაიონულმა კომისიამ 139 ახალგაზრდა გაისინჯა, მათ შორის თითქმის ყველა ჯანმრთელია.

ს. მერკვილაძე

ახალი კოლხიდის მშენებლობაზე

გავაუმჯობესოთ ფექნიკური ხელმძღვანელობა

ხობი („კომუნისტის“ სპეც. კორ.). კოლხიდის დაბლობის დაშრობის სამუშაოთა საერთო მოცულობის თითქმის ნახევარი ამჟამად ხობის რაიონის ტერიტორიაზეა მოქცეული. ხობელი კოლმეურნეები აქტიურად ეხმარებიან კოლხიდმშენს გეგმების შესრულებაში.

დიდი ფერგანის არხის მშენებლთა გამოცდილების მიხედვით მათ წელს კოლხიდმშენში შრომითი მონაწილეობით 509.000 მანეთის სამუშაო შეასრულეს, აგრეთვე შეასრულეს 140.000 მანეთის ფასიანი სამუშაო, გაიყვანეს 48 კილომეტრი ახალი გზა, გააკეთეს ახალი ხიდები 3 კილომეტრზე და 20 კილომეტრზე ამაღლეს წინათ გაკეთებული ჯებირი.

ხობის რაიონის კოლმეურნეები მოსავლის აღებისთანავე, რაც უახლოეს დღეებში უნდა დამთავრდეს, კვლავ განაახლებენ მუშაობას. ისინი წელს კოლხიდმშენში დამატებით 40.000 მანეთის სამუშაოს შეასრულებენ. ნოემბრის შუა რიცხვებიდან კოლმეურნეები მასობრივად შეუდგებიან აგრეთვე სოფ. საჯიჯაოს და ხიბულის ჭაობის დაშრობას, სადაც მათ წელს ნახევარი მილიონი მანეთის სამუშაო უნდა შეასრულონ, აქედან 150.000 მანეთის სამუშაო ფერგანული მეთოდით. ამ ჭაობის დაშრობით ხობის რაიონის კოლმეურნეობები დამატებით მიიღებენ 1.045 ჰექტარ ნოყიერ მიწას, რომელზეც უახლოეს წლებში 600 ჰექტარი მარტო ჩაი გაშენდება.

უნდა აღინიშნოს, რომ სოფ. საჯიჯაოსა და ხიბულის მასივებში სამელიორაციო სამუშაოებს საქ. მიწსახკომის წყალთა მეურნეობის სამმართველო დღემდე სუსტად ხელმძღვანელობდა. არავინ ზრუნავდა იმისათვის, რომ ფასიანი სამუშაოების ჩასატარებლად დროულად შეეგროვებინა მუშა-ხელი და აგრო საჭირო დამხმარე ნაგებობანი.

უახლოეს დღეებში კოლხიდმშენში მუშაობა ფართო მასშტაბით გაიშლება. საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან აქ მოელიან 5.000-6.000 კოლმეურნეს, რომლებმაც კადრის მუშებთან ერთად მიმდინარე წლის ბოლომდე კოლხიდმშენში 5.500 ათასი მანეთის სამუშაო უნდა შეასრულონ. ამ დავალების წარმატებით შესრულება ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოვამზადებთ ობიექტებს ზამთრის პირობებში შეუფერხებელი მუშაობისათვის. მაგრამ ამ მხრივ კოლხიდმშენში არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. მეტად ჭიანურდება ახალი ბინების მშენებლობა და ძველი ბინების რემონტი.

მდ. ხობის ნაპირების გამაგრების სამუშაოებს, რაც ამჟამად 30 კილომეტრზეა გაშლილი, მხოლოდ 3 ტექნიკოსი ემსახურება. ისინი, ჯერ-ჯერობით ვერ აუდიან მუშაობას, და რაც მთავარია, არადამაკმაყოფილებლად ეხმარებიან კოლმეურნეობებს მუშაობის უკეთესად მოწყობაში. მაგალითად. სოფ. ახუთის კოლმეურნეობა „მეომრის“ წევრების მიერ პირველ ხორგაში გაკეთებული ნაგუბარი წყლის მისაშვებ არხი, რომელსაც გვერდების საკმაო დაქანება არ ჰქონდა, იმავე დღეს ჩაინგრა. ამავე კოლმეურნეობის წევრებს მისცეს მითითება, რომ მათ მიერ გასაკეთებელ წვრილ არხს ჰქონოდა ფსკერის სიფართოე 3 მეტრი. შემდეგ კი გამოირკვა, რომ საჭირო იყო მხოლოდ 30 სანტიმეტრი. ჯებირის აგებასთან დაკავშირებით ამოღებულ ორმოებში ჩამდგარი წყლის გასაშვებად სოფ. ახუთის კოლმეურნეობა „შრომის“ წევრებმა თხრილი გაატარეს. თხრილი ისე გაიჭრა, რომ ტექნიკოსებს წყლის სიღრმე არ გაუზომავთ. წყლის გაშვების შემდეგ გამოირკვა, რომ თხრილს, რომელიც წყალმა სანაბევროდ მაშინვე მიწით ამოავსო, მეტი სიღრმე უნდა ჰქონოდა. ნამუშევრის გადაკეთებამ კი ზედმეტი შრომა მოითხოვა. ტექნიკოსები სათანადოდ არ უხსნიან კოლმეურნეებს როგორ აზომონ ყოველდღიურად შესრულებული სამუშაო.

ეს ნაკლოვანებანი სასწრაფოდ გამოსწორებას მოითხოვს.

ხ. აცანელი

ინგლის-გერმანიის ომი

გერმანიის ავიაციის მოქმედება

ბერლინი, 13 ნოემბერი (საქდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, 12 ნოემბერს ღამით გერმანიის ავიაციამ ლონდონს 200 ათასზე მეტი კილოგრამი ყუმბარები დააყარა. რამდენიმე ადგილას კვლავ გაჩნდა ხანძარი და მოხდა აფეთქება. განსაკუთრებით ძლიერი აფეთქება მოხდა ჰარლზდენში (ლონდონის რაიონი), რამაც დიდი ხანძარი გამოიწვია. ყუმბარები დაუშინეს აგრეთვე გაზის ქარხანას, მოტორის დამამზადებელ ქარხანასა და საწყობებს. ძლიერ დაზიანდა რკინიგზის სარემონტო სახელოსნოები.

არაჩვეულებრივი ცუდი ამინდის გამო, მთელი გუშინდელი დღის განმავლობაში საჰაერო ბრძოლა არ მომხდარა.

შეკითხვები თემთა პალატაში

ლონდონი, 13 ნოემბერი (საქდესი). უპასუხა რა შეკითხვებზე თემთა პალატაში, სამხედრო მინისტრმა იდენმა განაცხადა, რომ არმიის სარდლობასა და ავიაციას შორის მიღწეულია დეტალური და ყოვლისშემცველი შეთანხმება მჭიდრო თანამშრომლობის შესახებ. უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში ამ საკითხს იხილავდნენ ავიაციის სამინისტრო და სამხედრო სამინისტრო. ამ მოლაპარაკების შედეგად შემუშავებულია გეგმა, რომელიც ყველა წინანდელ გეგმაზე გაცილებით უკეთესია. ეს გეგმა ძალაში შევა 11 დეკემბერს. შემდეგ იდენმა აღნიშნა, რომ მას არ შეუძლია სავსებით გააშუქოს შეშუშავებული გეგმის ხასიათი, მაგრამ სახმელეთო არმიისა, ყველა გვარეობის ჯარის და ავიაციის თანამშრომლობა ამჟამად მკვიდრ საფუძველზეა აგებული. უპასუხა რა შემდგომ შეკითხვებზე, იდენმა აღნიშნა, რომ ახლო აღმოსავლეთში ეს საკითხი გადაჭრილია დამაკმაყოფილებლად.

იდენმა განაცხადა აგრეთვე, რომ ინგლისელ სამხედრო ტყვეთა რიცხვი 44.000 კაცს აღწევს.

ამერიკის დახმარება ინგლისისადმი

ნიუ-იორკი, 13 ნოემბერი (საქდესი). ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუსი“ სწერს, რომ რუზველტს განზრახული აქვს გააძიერთოს დახმარება ინგლისისადმი, შეზღუდოს იაპონიაში საომარი მასალის ექსპორტი და შეთანხმება დასდოს იმის შესახებ, რომ შეერთებულმა შტატებმა გამოიყენონ სინგაპურის, ავსტრალიისა და ლათინური ამერიკის საავიაციო და საზღვაო ბაზები. ინგლისისადმი დახმარების შესახებ ჟურნალი სწერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები, შესაძლებელია, დათანხმდნენ დაიცვან დასავლეთ ნახევარსფეროს სავაჭრო გზები 300-მილიანი ზონის ფარგლებში, რათა ამრიგად ინგლისის ზოგიერთი სამხედრო გემა სხვა მიზნებისათვის გაანთავისუფლონ. ჟურნალი აღნიშნავს, რომ ბრიტანეთის ფლოტის ბრძოლისუნარიანობა ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

საბერძნეთის საჩდღობის ცნობა

ათენი, 13 ნოემბერი (საქდესი). საბერძნეთის უმაღლესი სარდლობის მიერ გუშინ საღამოს გამოქვეყნებულ ცნობაში ნათქვამია: პინდის რაიონში ტყვედ შეპყრობილ იტალიელთა რიცხვი განუწყვეტლივ მატულობს. ნადავლ საომარ მასალაში არის 75-მილიმეტრიანი ზარბაზნები, რამდენიმე მორტირი, ტყვიამფრქვევები და სხვ. ხელთ ვიგდებთ აგრეთვე ორი დროშა. მტერმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე 50-ზე მეტი დაჭრილი დასტოვა. მტრის ავიაციის მიერ ბომბარდირებულ სოფლებში დაჭრილია რამდენიმე კაცი.

ინგლისის ავიაციის მოქმედება საბერძნეთში

ათენი, 13 ნოემბერი (საქდესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, 11 ნოემბერს, ღამით ინგლისის ავიაციამ ყუმბარები დაუშინა დურაცოს ნავსადგურს ალბანეთის სანაპიროზე და ვალონას. ბომბარდირების შედეგად, როგორც ჩანს, აფეთქდა საომარი მასალის საწყობი.

საომარი ოპერაციები ხმელთაშუა ზღვაში

ლონდონი, 13 ნოემბერი (საქდესი). საზღვაო სამინისტრო შემდეგ ცნობას აქვეყნებს: „ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა გამანადგურებელი ზარალი მიაყენა იტალიის ფლოტს, რომლის ძირითადი ძალებიც იტალიის ფლოტის მთავარ ბაზა ტარანტოში იმყოფებოდნენ სანაპირო ბატარეების საფარქვეშ. ინგლისის საზღვაო ავიაცია 11 ნოემბერს ღამით თავს დაესხა იტალიის ხომალდებსაც. როგორც აეროფოტოგადაღებამ გამოარკვია, იტალიის. „ლიტორიოს“ კლასის სახაზო გემი ისე ძლიერ დაზიანდა, რომ გემის მთელი წინა ნაწილი წყალქვეშ არის, თვითონ გემი კი მკვეთრად გადახრა მარჯვენა მხარეზე. ძლიერ დაზიანდა მეორე სახაზო გემიც „კავურის“ კლასისა. გემის კიჩო, მათ შორის ერთი საქვემეხო კოშკიც, წყალქვეშ არის. ჯერ კიდევ ვერ გამოვარკვიეთ, მაგრამ საფიქრებელია, რომ ძლიერ დაზიანდა ამავე კლასის მეორე სახაზო გემიც. ტარანტოს შიდა ნავსაყუდელში ორი კრეისერი დგას. რომლებიც მარჯვენა მხარეზეა გადახრილი და გარშემორტყმული ნავთის ლაქებით. ამ კრეისერების მახლობლად მოსჩანს ორი მაშველი გემი, რომელთა კიჩოები წყალქვეშ არის“.

ამრიგად, — აღნიშნულია კომუნიკეში, — იმ ექვს სახაზო გემთაგან, რომლებიც იტალიის სამხედრო საზღვაო ფლოტს მოეპოვებოდა (ორი—„ლიტორიოს“ კლასისა და ოთხი ამ ტიპის წინათ რეკონსტრუირებული სახაზო გემი „კავურის“ კლასისა) სამი უკვე მოსპობილია ინგლისის ავიაციის მიერ.

იგალია უარჰყოფს

რომი, 13 ნოემბერი (საქდესი). სტეფანის სააგენტო უარჰყოფს ინგლისის საზღვაო სამინისტროს ცნობას იმის შესახებ, რომ 12 ნოემბერს ინგლისის საზღვაო ავიაციამ ტარანტოში გაანადგურა იტალიის სამი სახაზო გემი და სხვა სამხედრო გემები.

სააგენტო ემყარება იტალიის სარდლობის ცნობას და აცხადებს, რომ ტარანტოზე ინგლისის თავდასხმის დროს იტალიის მხოლოდ ერთი გემი დაზიანდა სერიოზულად, ამასთან ადამიანის მსხვერპლი არა ყოფილა.

სამხრეთ ჩინეთში

სამხრეთ ჩინეთი. გუანსის პროვინციაში ჩინეთის ჯარი, რომელმაც ნანინი დაიკავა, წინსვლას განაგრძობს. მიმდინარეობს ნანინიდან მიმავალ გზატკეცილების აღდგენა.

11 ნოემბერს იაპონიის ავიაციამ ნანინიდან იაპონიის ჯარის ევაკუაციის შემდეგ პირველად დაუშინა ყუმბარები ქალაქს. ქალაქში ზიანი უმნიშვნელოა.

გუანდუნის პროვინციის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში ბრძოლა გრძელდება ცინჯოუს რაიონში. ჩინელებმა რამდენიმე პუნქტი დაიკავეს. ცინჯოუსთან ორი დღის ბრძოლის დროს იაპონელებს მოუკლეს და დაუჭრეს ათასამდე კაცი. ჩინეთის ჯარს საკმარისი ზარალი მოუვიდა.

ცენტრალური ჩინეთში. ხუნანის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში ცალკეული პატარ-პატარა შეტაკებები ხდება. მარიონეტულ ხელისუფალთა ჯარის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩინეთის ჯარის მხარეს გადავიდა.

ჩრდილოეთ ჩინეთის ფრონტებზე არსებული მდგომარეობის შესახებ ცნობები არ არის.

13 ნოემბერია (საქდესი).

შრანგი სამხედრო ყუველების მდგომარეობა

ნიუ-იორკი, 12 ნოემბერი (საქდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ვიშიდან იუწყება, გერმანიის ხელისუფლებამ ფრანგ სამხედრო ტყვეებს ნება დართო უგზავნონ წერილები თავისიანებსა და ნათესავებს და შეატყობინონ ოჯახებს თავიანთი ადგილსამყოფელი. ელზას-ლოტარინგიაში, — სწერს კორესპონდენტი, — ფრანგი სამხედრო ტყვეების მუდმივ საზამთრო ბანაკებში გადაყვანა დამთავრებულია.

ინგლისში აღრიცხულ უმუშევართა რაოდენობა

ლონდონი, 12 ნოემბერი (საქდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ინგლისის შრომისა და ნაციონალური ბეჭრის სამინისტროს ცნობას, რომელშიც ნათქვამია, რომ 14 ოქტომბრისათვის ინგლისში რეგისტრირებული იყო 333.936 უმუშევარი მამაკაცი და 101.945 უმუშევარი ქალი.

უეცესის დანიშვნა

ვაშინგტონი, 13 ნოემბერი (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაცხადა, რომ რუზველტმა ამერიკის შეერთებული შტატების ახლადარჩეული ვიცე-პრეზიდენტი უახლოესი სპეციალური სესიის მოწვევამდე დროებით დაიკავებს სენატის თავმჯდომარის თანამდებობას.

საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობა

ვიში, 13 ნოემბერი (საქდესი). [illegible] საფრანგეთის მთავრობა [illegible] სრული [illegible] ტრის შედეგებზე, რადგან საფრანგეთში [illegible] სრულიად [illegible] შეუძლებელია [illegible] ზუსტად გაარკვიოს [illegible] ხელმწიფოს. შემოსავალი და გასავალი. სრულიად გამოურკვეველია, მაგალითად, რა რაოდენობის ფულის ნიშანია ემარებაში საფრანგეთის ოკუპირებული ზონის ტერიტორიაზე. საფრანგეთის ბანკი, რომელიც საოკუპაციო ხელისუფალთა წინადადებით გადატანილია პარიზში, ამოცანად ისახავს გამოისყიდოს სპეციალური გერმანული საოკუპაციო მარკები, რომლებიც აქ ბმარებაშია. კურსის მიხედვით, ერთი მარკა 20 ფრანკს უდრის.

საოკუპაციო არმიის შენახვა, რო

პარტიული ცხოვრება

მზრუნველობით ვზარდოთ ახალგაზრდა კადრები

საქ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე ხალხთა საყვარელი ბელადი დიდი სტალინი ამბობდა: „...მზრუნველობით აღვზარდოთ კადრები, გულდასმით შევისწავლოთ მუშაკების ღირსებანი და ნაკლოვანებანი, უფრო გაბედულად დავაწინაურთ ახალგაზრდა მუშაკები, კადრების შერჩევისა და განაწილების საქმე შევუფარდოთ პარტიის პოლიტიკური ხაზის მოთხოვნებს“.

დიდი ბელადის ამ გენიალური მითითების მტკიცედ განხორციელების საფუძველზე ასპინძის რაიონულმა პარტიულმა ორგანიზაციამ გადაჭრდა სათანადო პრაქტიკული ნაბიჯი ახალგაზრდა კადრების ბოლშევიკურად აღზრდისა და დაწინაურების საქმეში.

რაიონული კომიტეტი, განუხრელად ატარებდა რა სტალინურ პრინციპს კადრების აღზრდისა და დაწინაურების დროს, ღრმად სწავლობდა თვითეული მუშაკის ღირსებასა და ნაკლს. XVIII პარტყრილობის შემდეგ რაიონის ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე დაწინაურებულ იქნა 212 ამხანაგი. აქედან უმრავლესობამ მუშაობის საკმაოთესო ნიმუშები გვიჩვენა. დაწინაურებული არიან ისეთი ამხანაგები, რომლებიც უსაზღვროდ ერთგულნი არიან ლენინ-სტალინის დიადი პარტიის საქმისა.

პარტიულ სამუშაოზე დაწინაურებულთა შორის არიან ისეთი ამხანაგები, რომლებიც ენერგიულად მუშაობენ აღნიშნულ სამუშაოზე. მაგალითად, ამხ. ჭ. ჩალიმოვი მუშაობდა პარტკაბინეტის პროპაგანდისტად, ამჟამად მუშაობს რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილედ და პარტკაბინეტის გამგედ. ამხანაგი ჩალიმოვი სისტემატურად მუშაობს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, იგი კარგად ეუფლება მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის გენიალურ მოძღვრებას, კითხულობს ლექციებს აზერბაიჯანულ ენაზე. ამხ. ჩალიმოვი ცდილობს გადასცეს სხვას იმის მაქსიმუმი, რის მიცემაც საერთოდ შეუძლია მას თავისი პირადი თვისებების მიხედვით. იგი ხშირად ატარებს ლექციებს სხვადასხვა საკითხებზე კოლმეურნეობებში საკოლმეურნეო აქტივისათვის.

ამხ. ა. დილავაროვი მუშაობდა სოფ. შიდრივანის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად, ამჟამად დაწინაურებულია რაიკომის შტატით პროპაგანდისტად. კოლმეურნე ამხ. პ. ბერიძე დაწინაურებულია რაიკომის შტატით პროპაგანდისტად. ამხ. გურგენიძე, რომელიც მუშაობდა რაიფინგანის ინსპექტორად, დაწინაურებულია რაიკომის ინსტრუქტორად. ამხ. კირაკოზოვი მუშაობდა რაიკომის სტატისტიკის და ერთიანი პარტბილეთის სექტორის გამგედ, ახლა მუშაობს რაიკომის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგედ.

ასპინძის სკოლის რუსული ენის მასწავლებელი ამხ. ივანიცკი დაწინაურებულ იქნა პარტრაიკომის მდივნის თანაშემწედ. საბჭოთა სამეურნეო ხელმძღვანელ სამუშაოზე დაწინაურებულთა შორის არის რაიონული საბჭოს დეპუტატი ამხ. ლაზარაშვილი. იგი მუშაობდა მასწავლებლად, ახლა დაწინაურებულია მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის მდივნად.

ასპინძის რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების მუშაობა ძლიერ ჩამორჩენილი იყო. რაიკომმა განათლების განყოფილების გამგედ დაწინაურა სოფ. აგარის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი ამხ. ვ. თამბაზაშვილი, რომელმაც ამ ორი წლის წინათ დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. ამხ. თამბაზაშვილმა სკოლის დირექტორად მუშაობის დროს გამოიჩინა თავი როგორც კარგმა პედაგოგმა და გაამართლა ის იმედი, რომელსაც მასზე ვამყარებდით. მან ენერგიულად მოჰკიდა ხელი ახალ სამუშაოს და განათლების განყოფილება გამოიყვანა ჩამორჩენილობიდან. იგი ენერგიულად მუშაობს მოსწავლე ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდასათვის, სკოლებში შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისა და საასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

რაისაბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის განყოფილების გამგედ დაწინაურებულ იქნა ტოლოშის საავადმყოფოს გამგე, კომკავშირელი ექიმი სვანიძე, რომელმაც ენერგიულად მოჰკიდა ხელი ამ საქმეს.

სოფ. ქარზაშეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სასოფლო საბჭოს დეპუტატი ლ. მამედოვი, რომელმაც მუშაობის საუკეთესო ნიმუშები მოგვცა და ჩამორჩენილი კოლმეურნეობა მოწინავეთა რიგებში ჩააყენა, დაწინაურებულ იქნა მშრომელთა დეპუტატების ნიალის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ. მან აქაც ისახელა თავი და სასოფლო საბჭო გარღვევებიდან გამოიყვანა. შარშანდელთან შედარებით 12 დღით ადრე და გადაჭარბებით შეასრულა საშემოდგომო თესვის გეგმა, აგრეთვე ვადაზე ადრე შეასრულა მზრალად ხვნის გეგმა და სხვ.

ხელმძღვანელი მუშაკების იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების საქმეს რაიკომი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. აქტივისათვის სხვადასხვა თემებზე ტარდება ლექციები. ხელმძღვანელი მუშაკების უმრავლესობამ „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლა დაამთავრა და ახლა მუშაობს მარქსიზმის კლასიკოსთა უფრო ღრმად შესწავლაზე, მათ შორის არიან ამხ. ანასტასოვი (რაისაბჭოს აღმასკომის ფინგანის გამგე), რომელიც რაიკომის მიერ გამოყენებულია ლექტორად, ამხ. პირტახია (სოფ. ხიზაბავრის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე), რომელიც ამჟამად მუშაობს რაიკომის შტატგარეშე პროპაგანდისტად, პ. ბერიძე და სხვ.

რაიკომი ყოველდღიურად ხელმძღვანელობს და დახმარებას უწევს პრაქტიკულ სამუშაოზე დაწინაურებულ კადრებს, რათა ისინი უფრო ღრმად დაეუფლონ მუშაობის ტექნიკას. რაიონის პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების, უმრავლესობა პირველად არის არჩეული ხელმძღვანელ პარტიულ სამუშაოზე. მათთვის პარტიული მუშაობის მთელი რიგი პრაქტიკული საკითხები, რომ გაერკვნა, რაიკომმა ჩაატარა ორდღიანი კურს-სემინარი რომელზეც შესწავლილ იქნება საკითხები პარტიული კრებების მომზადებისა და ჩატარების შესახებ, პარტიულ მეურნეობის მოწესრიგების შესახებ, პროპაგანდისტული და საagitაციო მუშაობის დაყენების შესახებ და სხვ. ამ პრაქტიკული საკითხების საფუძველიანად შესწავლამ დიდი შედეგი მოგვცა პირველადს პარტორგანიზაციებში პარტიული მუშაობის გაუმჯობესების შემდგომი აღმავლობის საქმეში.

რაიონულ პარტორგანიზაციებში ჯერ კიდევ სათანადო სამაგალითო ქალთა შორის მუშაობა. რაიკომის კადრების განყოფილება ჯერ კიდევ სუსტად მუშაობს მათი დაწინაურებისათვის ხელმძღვანელ სამუშაოზე. არადამაკმაყოფილებელია აგრეთვე რაიკომის ინსტრუქტორების დახმარება.

ასპინძის რაიონული პარტიული ორგანიზაცია დიდი **სტალინის** ბრძნულ მითითებათა საფუძველზე კიდევ უფრო მეტი მონდომებით იმუშავებს ახალგაზრდა კადრების მარქსისტულ-ლენინურად აღზრდისა და დაწინაურებისათვის.

საქ. კ. პ. (ბ) ასპინძის რაიკომის მდივანი.

საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

ფოთი, 14 ნოემბერი (საქდესი). პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის V პლენუმმა განიხილა ორი საკითხი: როგორ სრულდება კოლხიდმშენის სამუშაოს გეგმა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 27 აგვისტოს დადგენილების რეალიზაციის საფუძველზე და როგორ ხდებოდა პარტიაში მღება საქალაქო კომიტეტის IV პლენუმის შემდეგს პერიოდში, ე. ი. 1940 წლის 1 სექტემბრიდან 1 ნოემბრამდე.

როგორც პლენუმზე გამოირკვა. 1940 წლის გეგმა კოლხიდმშენს 10 თვეში შესრულებული აქვს 63,7 პროცენტით. ჩამორჩენილია საბინაო—ყოფაცხოვრებითი მშენებლობა, აგრეთვე გზების გაყვანა და ხიდების აგება. არასაკმაო ტემპით მიმდინარეობს მუშაობა, რომელსაც კოლმეურნეები ასრულებენ; გამონაკლისს შეადგენენ წალენჯიხის, ზუგდიდისა და ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეები.

ჩამორჩენის ერთერთი მთავარი მიზეზი ბევრ ობიექტში მუშახელის ნაკლებობაა. მაგრამ ამაში ბრალი მიუძღვის კოლხიდმშენის ხელმძღვანელობას, რომელსაც მუშები დროულად არ შეუგროვებია. კოლხიდმშენის მუშათა შორის ცუდად არის დაყენებული კულტმასობრივი მუშაობა ხობის რაიონის უბანზე.

პლენუმის წევრებმა აღნიშნეს, რომ, თუ კოლხიდმშენის ავტოპარკი მნიშვნელოვნად იქნება შევსებული ახალი მანქანებით და სახელმწიფო დიდ დახმარებას გაუწევს, კოლხიდმშენის კოლექტივს ყველა შესაძლებლობა მოეპოვება იმისათვის, რომ ლიკვიდაცია უყოს ჩამორჩენას და წარმატებით დაამთავროს სამუშაოს წლიური გეგმა.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა საქალაქო კომიტეტის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილების გამგემ ამხ. ნ. გეგუჩაძემ. პარტიის ქალაქკომის IV პლენუმიდან V პლენუმამდე, ე. ი. 1940 წლის 1 სექტემბრიდან 1 ნოემბრამდე პარტიაში მიღებულია 78 კაცი, აქედან 16 კაცი — პარტიის წევრობის კანდიდატად. კანდიდატად მიღებულთა შორის არიან ნავსადგურის გემსარემონტო სახელოსნოს სტახანოველი ზეინკალი ამხ. ერგაკოვი, რომელიც ნორმას 200 პროცენტით ასრულებს, იმავე სახელოსნოს ბრიგადირი ძინძიბაძე, ნავსადგურის გემსარემონტო სახელოსნოს ინჟინერი ამხ. შავგულიძე და სხვები. ამ პერიოდში შექმნილია 5 ახალი პირველადი პარტიული ორგანიზაცია.

თვალსაჩინოდ გააუმჯობესა მუშაობა პარტიაში მიღების მხრივ, აგრეთვე მუშაობა ახალმიღებულებთან ქალაქის საბჭოს აღმასკომის პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი ამხ. ი. მესხი) და ნავსადგურის გემსარემონტო სახელოსნოს პარტიულმა ორგანიზაციამ (მდივანი ამხ. გვაძაბია). ქალაქის საბჭოს პირველადს პარტორგანიზაციაში ქალაქკომის IV პლენუმისათვის პარტიის წევრობის კანდიდატი, რომელსაც ვადაგადაცილებული სტაჟი ჰქონდა, 7 კაცი იყო, ახლა კი არცერთი არ არის. სისტემატურად ეწყობა თათბირი პარტიის წევრობის კანდიდატებთან.

კამათში გამოსულნი აღნიშნავდნენ იმ ნაკლს, რაც პარტიაში მიღების საქმეს ახლავს. ქალაქის პარტორგანიზაციაში ითვლება 89 კანდიდატი, რომელთაც ვადაგადაცილებული სტაჟი აქვთ, აქედან 25 კაცი არის ნავსადგურში; პარტიაში მათ უმთავრესად იმიტომ არ იღებენ, რომ პოლიტიკურად მოუმზადებელი არიან. ეს კი იმის შედეგია, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციები სუსტად მუშაობენ კანდიდატებთან. მაგალითად, საქვაჭრობის პირველადს პარტორგანიზაციაში 14 კანდიდატთაგან 12 კაცს არა აქვს პარტიული დავალება.

პლენუმზე მოყვანილ იქნა იმის ფაქტები, რომ პარტიაში მიღების საქმეს განსაკუთრებით უპასუხისმგებლოდ ეპყრობიან. ნავსადგურის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიის წევრობის კანდიდატად ორჯერ მიიღო ვინმე ქ., ერთხელ — 1939 წელს, მეორედ — მიმდინარე წელს. ეს ქ. შარშან კოლმეურნეობიდან გამოიქცა. საქალაქო კომიტეტის ბიუროს ორივეჯერ გაუქმია პირველადი პარტორგანიზაციის დადგენილება მისი მიღების შესახებ. კოლხიდმშენის პირველადმა პარტორგანიზაციამ პარტიის კანდიდატად მიიღო ამხ. ცხადაია, მაშინ როდესაც მას ჰქონდა რეკომენდაცია პარტიის წევრის ა. ჩითანოვისა, რომელსაც მასთან ერთად მხოლოდ 5 თვეს უმუშავებია.

პლენუმმა ორივე საკითხის შესახებ სათანადო გადაწყვეტილება მიიღო.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

ალექსანდრია იაკობის-ასული **ბონდარევა,** საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1931 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0709686 — როგორც მექანიკურად გარიცხული პარტიიდან; ბოროს ბესარიონის-ძე **ლორია,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წლიდან, პარტბილეთი № 1668756 — როგორც მსჯავრდადებული; სურენ სიმბათის-ძე **ურუმოვი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1930 წლიდან, პარტბილეთი № 1539151 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; სტეფანე გაბრიელის-ძე **კეკულაძე,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წლიდან, პარტბილეთი № 2863077—როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული; სიმონ მიხეილის-ძე **ჯიშიაშვილი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2164547 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სამუშაოდან თვითნებურად წასვლისათვის; გიორგის **სარქისის-ძე კურეგიანი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1528415—როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული ცუდი ხარისხის პურის გამოშვებისათვის; მიხეილ ვასილის-ძე **ოგუნოვსკი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1930 წლიდან, პარტბილეთი № 1513046 — პარტბილეთის დაკარგვისათვის და როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული; იოსებ ალექსანდრეს-ძე **მოსუაშვილი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1546411 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სამუშაოს გაცუდისათვის; ბიქტორ კონსტანტინეს-ძე **ბერეგოვოი,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1936 წლიდან, პარტბილეთი № 1544691 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; ალექსანდრე კონსტანტინეს-ძე **ჩაჩანიძე,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1937 წლიდან, პარტბილეთი № 2853268 — როგორც სასამართლოს მიერ ორჯერ მსჯავრდადებული (გაფლანგვისა და სამუშაოს გაცდენისათვის); ვლადიმერ გიორგის-ძე **მუჯარიძე,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წლიდან, პარტბილეთი № 2863792 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; აკაკი რომანოზის-ძე **დვალაძე,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წლიდან, პარტბილეთი № 2861245 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული ავარიისათვის; ჰაინრიხ ფრანცის-ძე **ჰოლცეპა,** საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 0772991—როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული ქურდობისათვის.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 5 ოქტომბრის გადაწყვეტილებით საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

მიხეილ იოსების-ძე **ტყემალაძე,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1928 წლიდან, პარტბილეთი № 1278303 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; ბაგელ გლახოს-ძე **ფოფხაძე,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1929 წლიდან, პარტბილეთი № 1534074—როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული; ევგენი ილიას-ძე **ჯიბლაძე,** საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1939 წლიდან, პარტბილეთი № 2853513 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული სამუშაოს გაცდენისათვის; სიმონ პანტელეიმონის-ძე **ნოროძე,** საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2165356—როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული; შალვა ნესტორის-ძე **ქვაჭეზაძე,** საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 3079349 — როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდადებული ხულიგნობისა და დებოშირისათვის.

„სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ მარჯანიშვილის სახელობის თეატრში. სურათებზე: ზევით (მარცხნიდან მარჯვნივ) რესპ. სახ. არტისტი შ. ღამბაშიძე (სოლომონ მეჯღანუაშვილი), რესპ. დამს. არტისტი ს. თაყაიშვილი (სოფიო), თ. ჩარკვიანი (თამარი), რესპ. დამს. არტისტი გ. ანჯაფარიძე (ელენე), ლ. შატბერაშვილი (ალექსანდრე რაინდაძე); ქვევით — კ. კვანტალიანი (პეტრე ურცხვაძე), რესპ. დამს. არტისტი ც. წუწუნავა (ბორუშანი), რესპ. სახ. არტისტი ხ. გოცირიძე (ოპანეზ მიკირტიჩი), მ. დავითაშვილი (ეფემია) და გ. შავგულიძე (ლუარსაბი).

„სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“

მარჯანიშვილის სახელობის თეატრში

აქტიორული შემოქმედების თეატრისათვის ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ მეჯღანუაშვილი“ თავისი პერსონაჟებით მომხიბვლელი და მომზიდველია. ჩვენი თანამედროვე მაყურებლისთვისაც იგი მოკლებული არ არის გარკვეულ შემეცნებითს მნიშვნელობას.

ქართული ლიტერატურის კლასიკოსების სცენირია ასახვის გზაზე ჯ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა ამ ნაწარმოების დადგმით გარკვეული მხატვრული ნაბიჯი გადადგა წინ და წარმატებაც ხვდა სპექტაკლს. დახვეწილი და სწორად გააზრებული მიზანსცენები, რომლებიც აქტიორებს ორგანულად აქვთ შეთვისებული, სცენიური ფანტაზია და გამომგონებლობის უნარი, და, ბოლოს, მეტწილად აქტიორების თამაშის მაღალი დონე უეჭველად მეტყველებს სპექტაკლის ავტორთა მხატვრულ ალღოსა და ოსტატობაზე.

„სოლომონ მეჯღანუაშვილი“ ახალგაზრდა რეჟისორის ვ. ტაბლიაშვილის სადებიუტო დადგმაა. ამ სპექტაკლით იგი ჩვენს საზოგადოებას წარმოუდგა, როგორც მომწიფებული მხატვრული ძალა, რომელსაც პირველი გამარჯვება თავბრუს არ დაასხამს, რომ ანგარიში არ გაუწიოს ჩრდილოვან ადგილებს, რაც მის დადგმას, მიუხედავად მთელი რიგი ღირსებებისა, მაინც აქვს.

თავიდან ბოლომდე სპექტაკლი ისეა გააზრებული, რომ გადაუშალოს მაყურებელს რაც შეიძლება მიმზიდველ თეატრალურ ფორმებში ის ჭაობი, რომელსაც ჩვენი საზოგადოება წარმოადგენდა გასული საუკუნის 50-იან წლებში, როცა ჩვენში ფეხს იკიდებდა და თავისი უფლებებისა და ადგილისათვის იბრძოდა სავაჭრო კაპიტალი. ვ. ტაბლიაშვილი სწორად განსაზღვრავს ამ საზოგადოების ყოველ ფენას. მის მიერ მაყურებელში აღძრული წარმოდგენა ამ საზოგადოების სწორია. ამ საზოგადოების სამი ფენის დასახატავად მას დიდ შესაძლებლობას აძლევდა თვით მხატვრული ნაწარმოები. მაგრამ, როგორც ყოველი ინსცენირება, ისე „სოლომონ მეჯღანუაშვილიც“ ვერ გასწვდა სცენას და რეჟისორის მიერ მოფიქრებული მეოთხე ფენა სრული ფერადოვნებით ვერ ამეტყველდა ჩვენს წინაშე. საქმე ისაა, რომ ის, რაც მოთხრობაში ან რომანში ქმარა ხასიათის დასახატად და ტიპის გასარკვევად, ზშირად საკმარისი არ არის დრამატიულ კომპოზიციაში. განსაკუთრებით ეს იგრძნობა ალექსანდრე რაინდაძისა და მისი მეგობრების სცენიურ დახასიათებაში, რომლებიც უდავოდ სპექტაკლის სისხლნაკლულ სხეულს წარმოადგენენ. ალექსანდრე რაინდაძის პიროვნების იდეალიზაციას არდაზიანის ნაწარმოებში მკვიდრი საფუძველი არა აქვს. ეს უხერხულობა უგრძვნია ინსცენირების ავტორს. ამიტომ მას განუზრახავს მისთვის გარკვეული იდეოლოგიური საფუძვლის მიყენება. ალექსანდრე და მისი მეგობრები იგონებენ ჩერნიშევსკის, აკეთებენ ციტაციას მისი ნაწარმოებებიდან და თითქო შესულნი არიან რუსეთის სახელოვან მესამოციანეთა იდეოლოგიურ სამყაროში. იმ საზოგადოებრივი ყოფის ფონზე, რომელიც სპექტაკლშია ასახული, ეს ისტორიულად არ არის მართებული (ისტორიულად კინტოს კატეგორიაც გვიან ჩამოყალიბდა ჩვენს სინამდვილეში). ქართული 50-იანი წლების ინტელიგენციის შორს იდგა ჩერნიშევსკის იდეებისაგან და უფრო უნიადაგო მეოცნებე საზოგადოებრივ ფენას წარმოადგენდა, ვიდრე მის აქტიურ ძალას, როგორც ეს შესანიშნავად გაარკვია თავის ნაშრომებში გიორგი ერისთავმა. ეს ინტელიგენცია თანამგრძნობად არ გამოადგებოდა სავაჭრო კაპიტალს და რაგინდ დიდი მონოლოგი არ წარმოსთქვას მისმა წარმომადგენელმა თეატრის პოიეზი თუ სხვაგან ახალი კლასის დასაცავად, მაყურებლამდე ვერ მიიტანს 50-იან წლების სიტუაციისათვის უცხო იდეებს. ამ მხრივ ნაწარმოებს აკლია გამბედავი დოსტაქარის ხელი.

სპექტაკლში ასახულია ფულის ბრძოლა თავისი ადგილისათვის ახალ საზოგადოებაში, მაგრამ მაინც ვერ იგრძნობა მისი ყოვლის შემძლე ძალა და ძლიერება. იმ ბრძოლაში, რომელიც ჩვენში საბაზრო კაპიტალმა გაუმართა დამყაყებულ არისტოკრატიას, პირველი გამარჯვებული გამოვიდა. მეჯღანუაშვილის გამარჯვება კი, რაშიაც სპექტაკლის ავტორი გვარწმუნებდა (იხ. „კომუნისტის“ 6 ნოემბრის ნომერი), ძალიან საეჭვოა. სოლომონის მარცხში ვერ იგრძნობა, რომ საბოლოოდ მაინც ფული გაიმარჯვებს და გახდება ძირომპალი ფეოდალური წყობილების მესაფლავედ.

სანახაობითობის მხრივ ეს სპექტაკლი უდავოდ კარგია. ცალკეული სცენები (ლოჟა, ბალი) ოსტატურად არის გაკეთებული. აქ რეჟისორი მოსაწონ გამომგონებლობას იჩენს. სპექტაკლი იპყრობს მაყურებელს მკვეთრი სურათოვნებით. და აი ამ დღესასწაულებრივი თეატრალური სანახაობის ფონზე ყოველი ზედმეტი შტრიხი ისე მოსჩანს, როგორც მეჩეჩი ლამაზი ქალის სახეზე, მეჩეჩი რომელიც დაუყოვნებლივ უნდა იქნას მოცილებული.

რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი

პირველი სურათიდანვე აჩქარებული ტემპი შესანიშნავ რიტმს ქმნის წარმოდგენას, მაგრამ აი გამოჩნდება ბაზარზე სოლომონ მეჯღანუაშვილი და მთელი ბაზარი... ქავდება. ეს ანელებს მოქმედებას და მშვენიერ მასობრივ სცენას ელფერს უკარგავს. შესანიშნავად გათამაშებული სცენის შემდეგ (სოსია გამწკრივებივით გამოჩნება ბაზარზე), პირველი აქტის უკანასკნელ სურათში ზედმეტია სოლომონის ვრცელი მოთხრობა ამ შეხვედრის შესახებ. ეს აზვიადებს მოქმედებას. ასევე გაზვიადებულია ლოტოს თამაშის სცენა, ცეკვები და სიმღერები, რაც აუცილებლად შემცირებას საჭიროებს. მოქმედების განვითარება არ მოითხოვს აგრეთვე მაგიდაზე მოქეიფეთა ახტომას ან კბილებით ჰაქის მტვრევას. გარდა ამისა ერთი სცენიური ხერხის განმეორება ღლის მაყურებელს. ასეთია თავდის ყრუობის დაუსრულებელი გათამაშება, ჭორის ვარიაციები, ახალგაზრდა თავადების დაუსრულებელი ინბრაზობა, გადაჭარბებული ფრანგული ლაპარაკი და სხვ. ყველა ეს ჩრდილოვანი მხარეები შეგვიძლია უმტკივნეულოდ მოვაცილოთ სპექტაკლს ისე, რომ მისი მთლიანობა არა თუ არ შეიბღალება, არამედ ბევრსაც მოიგებს.

მიუხედავად ამისა, სპექტაკლის ავტორებმა შეჰქმნეს დიდი სცენიური ტილო, მხატვრული ალღოთი გაგვიხსნეს იმ საზოგადოების ზედაპირი, რომელიც გაგვაცნო ლ. არდაზიანმა თავის ნაწარმოებში და კიდევ უფრო ამაღლეს ჩვენს თვალში ის ბედნიერი ეპოქა, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობთ.

რეჟისორის მხატვრულ გააზრებას ჩასწვდომიან როგორც მხატვრები და კომპოზიტორი (მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ლ. შუბაბრიას და ირ. ჭავჭანიძეს, მუსიკა — ა. კერესელიძეს), ისე აქტიორები, რაც განსაკუთრებით სასიხარულოა, რადგან ამ სამივე ელემენტის ჰარმონია ღრმად არის აღბეჭდილი სპექტაკლის ყველა ეპიზოდში. მომქმედ პირთა იმ ვრცელი გალერიიდან, რომელმაც მაყურებლის თვალწინ ჩაიარა, არ იკარგება თითქმის არცერთი სცენიური სახე. ზოგიერთ მომქმედ პირს სათქმელი ძლიერ ცოტა აქვს, მაგრამ თავის პატარა ფრაზითაც და მოხდენილი სცენიური სახითაც დასამახსოვრებელი ხდება მაყურებლისათვის. ეს უთუოდ რეჟისორ ვ. ტაბლიაშვილის აქტიორთან მუშაობის კარგ ღირსებაზე ლაპარაკობს და ამის გამოა, რომ შესრულების დონე სპექტაკლში დიდ სიმაღლეს აღწევს.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს რესპ. სახ. არტისტის შ. ღამბაშიძის მიერ შექმნილი სცენიური სახე სოლომონ მეჯღანუაშვილისა. მეჯღანუაშვილის სულიერი დრამა შ. ღამბაშიძეს დიდ ტრაგიკულ სიმაღლეზე აჰყავს. პირველი მოქმედებიდანვე ის აღძრავს მაყურებელში მაღალ ემოციებს და განცდებს. მსახიობი არ იშურებს მეტყველებისა და წარმოსახვის ბევრ მდიდარ საშუალებებს, რომ გაუშალოს მაყურებელს გმირის რთული ბუნება იმ სიღრმით, როგორც ეს ტრაგედიის ბუნებაში შეეფერება. ამ მხრივ სოლომონი მას გააზრებული აქვს მეტად ორიგინალურად. წვრილ მევახშე სოლომონში გათქვეფილია ადამიანური თვისებები. მან შეაგროვა დიდძალი ფული, მაგრამ არ იცის ფულის ძალა, სანამ არ შეუღახვენ თავმოყვარეობას და, როცა ეს მოხდება, მაშინ მასში იღვიძებს ნამდვილი ქარიშხალი. ეს ძოძენტი განსაკუთრებული ძლიერებით გადმოგვცა შ. ღამბაშიძემ. შემდეგ კი ის კვალდაკვალ მისდევს ლ. არდაზიანის მიერ დახატულ გმირს და მოხერხებულადაც ხატავს სოლომონის ბუნებას თავისი წაბაძულობით, გარეგანი ბრწყინვალების მოყვარეობითა და შინაგანი გამოფიტულობით. მსახიობის მიერ შექმნილ მრავალფეროვან სცენიურ სახეებში სოლომონი უთუოდ დაიჭერს საპატიო ადგილს.

შესანიშნავი ოსტატობით შეჰქმნეს ბრწყინვალე სცენიური სახეები თეატრის აქტიორთა უფროსი თაობის წარმომადგენლებმა — რესპ. სახ. არტისტებმა ელ. ჩერქეზიშვილმა და ნიკო გოცირიძემ. ელ. ჩერქეზიშვილი მაკრინე ტუჩმოხეულაშვილის როლს დიდი გზნებით, უბრალოებითა და სისადავით გადმოგვცემს. მეტყველება, შეხამებული კეთილშობილ მოძრაობასთან და პლასტიურობასთან, იპყრობს მაყურებელს. ასევე დაუვიწყარია ნ. გოცირიძის მიერ შექმნილი სცენიური სახე; განსაკუთრებული სიძლიერით ჩაატარა ნ. გოცირიძემ სცენა ნადიმზე და თავადებთან შეხვედრისა.

რესპ. დამს. არტისტი ს. თაყაიშვილი ანსახიერებს სოლომონ ისაკიჩის მეუღლის სოფიოს როლს. ნიჭიერი მსახიობი ამ როლს დიდი მხატვრული ტაქტით გადმოგვცემს. და მიუხედავად მცირე ფრაზისა, განსაკუთრებით პირველ და მეორე მოქმედებაში დიდ სცენიურ ეფექტსაც აღწევს. ბოლო მოქმედებაში კი, სადაც მას უხდება მსჯელობა ფულის ძალაზე, ის სცდება სინამდვილეს, რაც პირველ რიგში იმის ბრალია, რომ ინსცენირების ავტორმა არდაზიანის მიერ შექმნილი სახე უკორექტივოდ მიიღო.

რესპ. დამს. არტისტი ვ. ანჯაფარიძე ჩვეული მხატვრული სიფაქიზითა და ოსტატობით ასრულებს ელენეს როლს. ის იძლევა განათლებული ქართველი ქალის თამარის ანტიპოდის სურათოვან სახეს გულში ჩამწვდომი მეტყველებითა და პლასტიურობით. გაზვიადებულად მიგვაჩნია მხოლოდ მისი მონოლოგი ლოჟაში, ხოლო რამდენადმე მანერულია მსახიობი უკანასკნელ მოქმედებაში.

გროტესკის სტილით ასრულებს რეაბ. დამს. არტისტი ც. წუწუნავა ბორუშანის როლს. ჭორიკანებს როლში მშვენიერი სცენიური სახეები შეჰქმნეს მსახიობებმა მ. დავითაშვილმა და მ. კოკაიამ.

რესპ. დამს. არტისტი ა. ჭორთოლიანი თავისი ჩვეული სტილით თამაშობს ალექსი კერპაძეს. კ. კვანტალიანი მოხდენილად იძლევა ჭორიკანა თავად პეტრე ურცხვაძის სახის.

სამპატიო სახეებს ჰქმნიან მსახიობები თ. ჩარკვიანი (თამარი), ქ. დოლიძე (ქეთევანი), ი. ქიქოშვილი (ისაკი).

ახალგაზრდა თავადების შემსრულებელთა შორის ლუარსაბის შესანიშნავ სცენიურ პორტრეტს იძლევა მსახ. გ. შავგულიძე.

მსახიობები ლ. შატბერაშვილი, ნ. ანთაძე და სხვ. მოკლებული არიან საშუალებას მოგვცენ მაშინდელი ცხოვრების რეალური ტიპები იმ მიზეზით, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

საერთოდ კი აქტიორული შემოქმედების თვალსაზრისით „სოლომონ მეჯღანუაშვილი“ ერთერთ მაღალმხატვრულ სპექტაკლად უნდა იქნას მიჩნეული. მასობრივი სცენებიც მაყურებლის დამსახურებულ მოწონებას იწვევენ. კარგია ცეკვაც.

ამ სპექტაკლიდან ასეთი დასკვნა შეგვიძლია გავაკეთოთ:

მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა კრიტიკულად უნდა გადასინჯოს მხატვრულ ნაწარმოებთა ინსცენირების გზა. რომელიმე მოთხრობის ან რომანის ინსცენირებით არ იქმნება საეტაპო სპექტაკლი. თეატრმა უნდა განავითაროს მუშაობა თანამედროვე დრამატურგიულ მასალაზე, რომელიც ნამდვილად გამოავლენს მისი ნიჭიერი კოლექტივის მთელ მხატვრულ უნარსა და შესაძლებლობებს.

ბ. აბულაძე.

გრ. ჩხიკვაძე — საქართველოს საბჭოთა კომპოზ

ᲜᲐᲮᲔ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔ ᲛᲔᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲡᲢᲘ

ᲛᲔᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲡᲢᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲘᲐᲗᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲜᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲡᲢᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲘᲐᲗᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲜᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲡᲢᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲜᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲐᲮᲡᲘᲐᲗᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲐᲕᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲐᲠᲐᲜᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲔᲡᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ

**ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ